გან—გაეცა. ამხანაგები და ავალებდენ გამხდა-
რით ჩეკების მუდმივ ჯაშუშათ. მან დაკარგა
ძარღვების სიმშევიდე. სანახევროთ ჭკუაზე შერ-
ეული გაუშენეს, მოკლე ხანში ის კიდეც გა-
გიუდა და საგიერშია მოთავსებული.

მარტის შუა რიცხვებში, ლამით ქუჩაში შორ-
ცაცეს ახალგაზრდა მარქსისტი 18 წლის ალ-
კალ-ნდავე (სტუდენტი), მისმა მშობლებმა და
მეგობრებმა ვერაფერი გაიგეს და არ იცოდენ
სად დაკარგა. ის 45 დღე აწამეს. პირველი
შვიდი დღე და ლამე უპატრონოთ იყო მიგდა-
ბული, არც პური და არც წყალი მიუწოდებიათ.
ლამლამობით გამოყავდათ, ცემდენ, აგინებდენ,
სიკვდილით ემუქრებოდენ. სიოცხლით და
ენერგიით სავსე ახალგაზრდა ცხედრას დაემს-
გავსა, ძვლებათ იქცა, უბრძანებდენ მას გაეცა
ამხანაგები, ჩაწერილიკონ «კომსომოლაში» და
გამხდარიყო ჩეკების საიდუმლო აგენტათ. 45
დღის შემდეგ ფანაშვალამეცს გამოუშვეს, თმა
გაპარსეს, ხელი მოაწერინეს თავის დახვრება-
ზე, თუ ის გამავაჭვენებდა თავის 45 დღის წა-
მების ამბებს. გაუშევს მაგრამ მას ნორმალუ-
რი სიმშვიდე დაკარგოდა, ვერავის ცნობდა,
მისი გამოძრუნება მეტად საეჭვოა.

ერთ კვირაზე მეტი აწამეს სანდრო ჭიათური-

შეილი, რომელსაც ემუქრებოდენ ლამით სიკვ-

დილით და აძლევდენ წინადადებას გატეხილი-

ყო, ამხანაგები გაეცა.

16 მაისს გზიდან საიდუმლოთ გაიტაცეს ძევ-
ლი მუშა და თვალადებული რცვოლიუციონერი
კეტრე ხურცილავა, რომელიც მრავალჯერ
უწამებიათ თვითმკურობელობის ჯალათებს.
მისი წამება დაიწყო 1903 წელს კაზაკების
მიერ და არა ერთხელ ცხნება მიკრული უთხე-
ვიათ და ახლა ესმუშა ხურცილავა 28 დღის
განმავლობაში ბნელ საფლავში ყავდათ დამარ-

ული ჩეკელებს. ლამით გამოყავდათ და სიკვ-

დილით ემუქრებოდენ. ეუბნებოდენ—ვერავის
გაიგებს შენს წამებას და სიკვდილს.

17 დღე ყავდათ დასაფლავებული ახალგაზრ-

და მოსამსახურე მეგლაბე, რომელსაც აწმებ-
დენ გამოტების მიზნით და რომელიც გაუშევს

არა ნორმალურ მდგომარეობაში.

18 მაისს დაატყვევეს მუშა-მოსამსახურე კა-
ლისტრატე სილია, რომელსაც სცემა ჩეკების
აგენტმა ყურაშვილმა, ხოლო როცა ეს სილიამ

ჩეკაშიგანაცხადის ამისთვის ბეჭედ სარდაფში ჩააგდეს.

2 აგვისტოს, ღამის ოთხ საათზე პლიტო-კურებს გამოაშორეს ახალგაზრდა მარქსისტი სტუდენტი გიორგი თაყაიშვილი და წევის უფროსა აგენტმა უკუკომა ის საიდუმლოთ ჩამწყვდია ბეჭედ სამარქეში, თვით ტუსალებბმ არ იკოდენ სად წაიკვანეს. რამოდენიმე დღეს უბრავებდენ გამოტენილიყო და ხელი აელო თავის რწმენაზე—მარქსისტობაზე.

ჩეკები შეგვიძლია სხვა ფაქტებიც მოვიყვანოთ. წამებულთა რიცხვი მრავალია. იქ კვირაობით და ხშირად თვეობით მარხავენ ტუშებს, ბეგრის ვინაობაც კი არ იცინ. იპარავნ ჩუმათ და მიყვათ. ხშირია შემთხვევა როცა ტყვე გამოაქვამ მაშინ, როცა სიკვდილის პირზე მიმდგარი. ბარბაროსულმა ინკიზიციამ დაკარგა ყოველივე საზღვარი. ასაქ. სოც.-დემ. მუშ. პარ. ცენტრ. კომიტეტს არ შეუძლია ხმა მაღლა არ გამოსთვესა ამის შესახებ თავისი აღმფოთება, არ ამცნოს ცველას ის რაც ხდება «წითელი» საქართველოს ჩეკებში. ამით აუცილებელი აქვენ და მთელ ქართველმა ერმა ვიცით, რომ უზენაესი ხელის-უფლება ცკუთვნის საქართველოში ბრუსილოვ-სლაშირვის ჯარებს, რომ საქართველოს სრულ უფლებისა მართველია კომუნისტური პარტიის «ჩაქრაიკომისა და კიროვ-მიასიკოვები, რომელთა მიზანია შოვინისტური იმპერიალიზმი, ცხადის ისიც რომამ ხელისუფლებასთან სათათბირო ხმა მაინც გაქვთ თქვენ, თვით ცველა ამ საზიქრონოებებს, თქვენის სელით აკეთებენ მოსკოვის იმპერიალისტები, აკეთებენ თქვენი თავისუფალ ბინდისის და თქვენი რწმენის თანამდარი ტყვეთების ინიციატივით ქართველი მშრომელი ხალხის მიმართ ჯალა-თის როლს ასრულებთ, როგორც თვით ტყვენი კომუნისტური იმპერიალიზმისა და იმავე დროს არ გყოფნისთ მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომესამ საშინელი სიმართლე პირდაპირ გააგებინოთ ქართველ მშრომელ ზარს. ამით არის საქ. ს.-დ. მუშ. პარ. ცენ. კომიტეტი.

27 აგვისტო, 1922 წ. რომელი თავის და ზენონის განცხადება ჩეკების თავშეჯდომაში.

ამ ყამათ სააგათმყოფოში იმყოფება 36 პლიტიკური ტუსალი, რომელთა სიცოცხლე განსაცდელშია, რაიც გვაიძულებს მოგმართოთ შემდეგი განცხადებით:

1) ნაწილი ავათმყოფთა ისეთშემჩერიშე ყველა მცოდნი არიან, რომელთაც საუკეთესო პირობებშიაც კი რამდენიმე თვის სიცოცხლე და დარჩენიათ.

2) მეორე ნაწილს კი ისეთი ავათმყოფობა აქვთ, რომელთაც სჭირია სცეციალური და სერიოზული წამლობა და ცეკიმობა. წრიოდების

3) არიან ისეთიც, რომელთა ავათმყოფობა მოითხოვს სცეციალისტებიმთან დიაგნოზს.

ორაც შეეხება თვითონ სააგათმყოფოს, კატეგორიულად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სერიოზულ ცეკიმობაზე ლაპარაკიც შეუძლებელია, ვინაიდან არ მოიპოვება წამლები, თუნდაც პრიმიტიული და აუცილებელი.

მიუხედავათ იმისა, რომ ცეკიმობა კომისიამ გადგინჯა და თვითონ ამ კომისიების აზრითაც ჩეკები სერიოზული წამლობა შეუძლებელია ამ პირობებში, აქამდისინ არავთარი ყურადღება არა არის მიქცეული ჩეკეს მდგომარეობაზე და ვართ ასე განწირული, დიდი ხანია გაეგებული გვაქვს, ფითიქოს უკვე შეღენილია კომისია, რომელთაც დაგალებულია აქვს ავათმყოფ ტუსალთა მდგომარეობის გამორკვევა, რომელსაც ამ მოკლე ხანში მოველით, მაგრამ ამ ყამათ მიგაქცევთ თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას თოს ავათმყოფს, რომელთა შეველა დაუყონებლივ არის აუცილებელი.

1) ჭითანავა ბიქტორიდა ანდლულაძე ვასილი—ავათ არიან ჭლებით და უკანასკნელს მდგომარეობაში იმყოფებიან. ფილტვები თითქმის სულ შეჭმული აქვს საშინელი სენისაგან და სისხლს ანთხევს. ჭითანავას მაგალითათ სისხლი აღებინა წუხელს და კინალამ მოკვდა.

2) ბასიშეილს კოტეს და გოგინაშვილს ზაქრის ცეკიმობათ ძლიერ როტლი ოპერაცია, თვის ქალის ნახსნა, ბალლამისა მოწმენდა. აი ამ პირთი კაცის მდგომარეობა ბალა-უნებურათ გვალევებს, ვინაიდან ჩეკ თვალწინ იღუპებიან და აქ კი მათი შეველა შეუძლებელია.

ცყველივე ამის გამო გთხოვთ საერთო ზომების მიღებამდე გამოგზავნოთ ორ-სამ ტლეში კომისია და შეამოწმოთ ჩეკით განცხადებაზე ხელს აწერს 26 პოლიტიკური ტყვეციდან მარც 8 აგვისტო, 1922 წ. რომელიც და მარც შიმშილის გამოცხადება. მათთვის მოიხედავათ ზემო მოყვანილ განცხადებისა, რომ ლო-სამ დღეში მიეკციათ ყურადღება ავათ-

მყოფ პატიმრებისთვის, გადის კვირა და არა-
ღერი სჩანს. მ მდგომარეობა აუტანელი შეიქნა,
ტკვა პლიტიკურები საშინელ ტანჯვას განი-
ცდიან და როცა დარწმუნდენ, რომ განცხადე-
ბით არაფერი გამოვიდოდა, გადასწყვიტეს შიმ-
შილის გამოცხადება, რაზედაც 24 საათით ად-
რე შემდეგი განცხადებით აცნობეს, «ჩეკის»
და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომა-
რეს და ჯანმრთელობის კომისარს:

«რამდენიმე ამხანაგის მეტათ სერიოზულმა
მდგომარეობამ გვაიძულა დაგვეძლია იმ უჯუ-
რადლებობის მოსალოდნელი ჰერსპექტივა, რო-
მელიც ხელისუფლების ჩვეულებრივ სენათ არის
გადაქცეული და კიდევ ვცდილიყავით გვეძებნა
სათანადო ხელისუფლების წინაშე სამართალი
და ჰუმანიურობა მომაკვდავი ამხანაგების მი-
მართ. ეს შევასრულეთ კიდეც ამ ერთი კვირის
წინ საგან. კომ. წინაშე სათანადო განცხადების
შეტანით. ადათ გამართლდა: დლებდე არც ვა-
სუხია, არც ყურადლება, ზოლო ამათი მდგო-
მარეობა, ვისთვისაც ვიშვეუმლებოლეთ, უფრო
გაუარესდა. (შუამდგომლობა შექებოდა ჭითა-
ნავას, ვ. ანდოულაძეს, კ. ბასიშვილს და შ. გოგი-
ნაშვილს) ჩვენ ვართ ჩშირი მოწმენი იმათი სის-
ხლის ლებინებისა, ვისაც ტუპერკულიოზი ანა-
დგურებს და იმათი აუტანელი წუბილისა და
ბორგვისა, ვისაც ტყვიის ჭრილობის გამო
თავის ქალიდან სისხლი ჩამოდის და რომელთა
დიაგნოზი და ექიმობა უსპეციალობის გამო
ციხის საავადმყოფოს დლებდე ვერ მოუხერხე-
ბია. კველა ამათ აქვთ საავადმყოფოს ექიმთა
კოლეგიის მიერ შედგენილი აქტი, რომელიც
ალინშვანეს მათი სიცოცხლის უკიდურეს საში-
შროებას და მათვის სკეცილურს, სეზონურს
წამლობას მოიხველეს. წოგს კიდევ ამას გარდა
აქვს ამგვარივე მოწმობა ოვით საგანგებო კო-
მისის თაოსნობით დანიშნულ ექიმთა კომისი-

ისა. ვაგრამ დლებდე ამ დოკუმენტებმა და ავა-
თმყოფებმა ვერ დაიმსახურეს იმის ჩურადლება
ვისიც ჯერ არს. დლეს საავათმყოფოში ისეთის
ფაქტის წინაშე ვდგვის, როდესაც მიუხედა-
ვათ ცისა და მიწის საბუთებისა, მომაკვდავ ამ-
ხანაგებს არ ელირს ჟურადლება, ამ გარემო-
ბის გულგრილათ წატანა შეუძლებელი შეიქნა
და ჩვენ, საავათმყოფოში საექიმოთ გადმოსული
ავათმყოფი პოლიტიკური პატიმრების, იძულე-
ბული ვხდებით მივმართოთ ტუსალის პირობე-
ბში ერთათ-ერთ ხელმისაწდომ იარალს და გა-
მოვაცხადოთ შიმშილი სამშაბათიდან, 15 აგ-
ვისთვის დილიდან. ვინძლო ამან შექმნას იძუ-
ლების პირობები იმის გამოსარეკვევათ რა უს-
პობს სიცოცხლეს წვენს ამხანაგებს—ბიურო-
კრატიული დაუდევრობა თუ სათანადო ხელის-
უფლების შეგნებული ხეზოლიურია. ორსაუ-
შემთხვევაში ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს
ამ გვარი «მიწერების» წინააღმდეგ. ამავე დროს
თანაგრძობას ვაცხადებთ წვენს მძიმე ავადმყოფ
ამხანაგებს, ხოლო ქართველ საზოგადოებას
სამიმარს ვეუბნებით იმის გამო, რომ ძალის-
ძალ ელუპება შვილები.

ხელს აწერს 29 პოლიტ. ტან. ლიმიტ. უცნდ
თვილის ციხის სავითმყოფო.

14 ივნისში, 1922 წ.

15 აგვისტოს პატიმრებმა შიმშილი დაწიყეს.
გამოირკვა რომ ციხის აღმინისტრუიას სათა-
ნადო ზომებიც არ მიუღია ამ განცხადებათა
გამო. ციხის უფროსი ცაგარიანი და მისი თანა-
შემწე წიგწიგადე გაიძახოდენ: «დაწიდენ შიმ-
შილით, რა გვენალვლებათ». შიმშილი გაგრ-
ძელდა 46 საათი, რის შემდეგ მობრძანდა ჩე-
კის თავმჯდომარე ალნიევი და გიორგულ ტუ-
სალებს ალუთქვა დაკმაყოფილება. შიმშილი
ამის შემდეგ მოიხსნა.

საქართველო და ევროპი.

რ. პუანკარეს წერილი ა. ჩ. ჩექნ კელს.

ბ-ნ მინისტრო! შემცირებულ მისამართობის
ამ თვის 14-ს შევიდე პირი თქვენი მემორან-
დუმის, რომელიც თქვენი მთავრობის სახელით
გაგიგზვით ერთა ლიგის საზოგადო კრების
საფოსტო უწევაში და ოხოვა, რომ საფრანგეთის
დელეგაციამ მხარი დაუჭიროს იქ საქართველოს
საკითხს.

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მე მიგაქციე
საფრანგეთის დელეგატების ყურადლება ამ დო-
კუმენტზე და ისინი არ დაყოვნებენ. გამოსა-
კვიონ, თუ როგორი პატუხის გაცემა იქნება
შესაძლებელი იმ სიმპატიის მიხედვით, რომ-
ლითაც გამსჭვალულია ჩეკის მთავრობა იმ
ერისადმი, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ.
მიიღეთ და სწავ პუანკარე.

საქართაშორისო კოოპერატივთა კავკა-
შირი საქართველოს კოოპ. სესახებ.

რედაქციამ მიღლო შემდეგი დეპეზა, რომელიც საქართაშორისო კოოპერატივთა კავკა-შირმა გაუგზავნა საქართველოში კომუნისტურ ხელისუფლებას კოოპერატივთა შევიწყოვების გამო. ამ დღევების ტექსტი:

თანახმათ მანდატისა ინტერნაციონალურ კოოპერატივთა კავშირის, ბ. ვიქტორ სერგეა მოიარა საქართველო ამ წლის მაისსა და ივნისში, რომ ჩაეძრობინა საქარ. ცენტრ. კოოპერ. კავშირისათვის თუილისში ჩვენი ორგანიზაციების მიერ გადადებული თანხა დამშეულ ხალხისთვის დასარიგებლათ, და ამავე დროს გამოერკვია კოოპერატივების მდგომარეობა.

მისი მოხსენებიდან, რომელიც მან წარმოადგინა, სჩანს, რომ კოოპერატიული მოძრაობა, რომელმაც ამ ორი წლის წინეთ მიაღწია შესამჩნევ განვითარებას და თანადათან იზრდებოდა, დღეს საშინაო დაქაქსული და უმეტეს ძაწილათ განადგურებულია.

ბევრი კოოპერატიული საზოგადოება, მასსიური მოძრაობისგან წარმოშობილი, მოსპობილია, და მათი ადგილი უჭირავთ ეგრეთწოდებულ მუშათა კოოპერატივებს, რომელიც შექმნილია ხელოვნურათ კომუნისტური პარტიის მიერ გთავის მონაწილეობით.

მრავალი კოოპერატიული მაღაზიები დაკეტილია. კოოპერატიულ საზოგადოებების დიდი ნაწილისთვის შეუძლებელი წევება მუშაობის წარმოება, იმ მიხევით, რომ მათ აღმინისტრატორებს, მოსამსახურებს და უმუშებებს სულ ხშირათ და ყველივე მიხევის დაუსახელებლათ ციხეში აგზავნიან. კოოპერატიულ საზოგადოებათა ხელმძღვანელი უკვე მოელი წელიწადის განუკითხავთ არიან ციხეში გამომწყვდეული. კოოპ. გამგეობებში წევების არჩევა თავისუფალი არაა. ის წარმოებს კომუნისტურ პარტიის ძალდატანების ქვეშ და ხელისუფალთა ჩარევით.

ჩვენ ვიღებთ ბ. სერგის მოხსენებიდან ამ ცოცხალ და შემოწმებულ ფაქტებს, რომელიც ჩვენ დიდათ გვადელვებენ და ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს თქვენი ყურადღება მიგაქციოთ კოოპერატიულ მოძრაობის ამ სამწუხაორ მდგომარეობაზე იმ იმედით, რომ დაუყონებლივ იქნება მიღებული ზომები მის გამოსაწორებლათ. საქართველოს კოოპერატიორთა დიდი უმრავლესობა გამსჭვალულია რომა მისწოდებით თავისუფალთა მოაწყონ თავის კოოპერატიული მუშაობა.

ეს არის ჩვენის რწმენით კანონის მიხედვის მიხედვის სრულიად ეთნებმება ინტერნაციონალურ კოოპერატივთა კონგრესის რეზოლუციებს, და რომელიც მიღებულია გველა ქვეყნის ნაციონალურ ორგანიზაციებისაგან. სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც შეიკრიბება ეს-ხენში ამ თვის დამლევს, უკვე ექნებოდეს თქვენ მიერ მოცემული პასუხი. კოოპ. კავშირის გენერალური მეინდენი ინტერნ. კოოპ. კავშირის გენერალური მეინდენი სეკრეტარის მეინდენი.

ერთა ლიგაში.
(რეზოლუცია საქართველოზე და სომხეთზე)
ბელგიის სოც. პარტიის წევრმა, დე-ბრიუკერმა, რომელიც ნამდოფია საქართველოში და დაინტერესებული მისი მდგომარეობით, ერთა ლიგაში, რომელიც შეიკრიბა ექნებოდები დასავა საქართველოს საკითხი და მხურვალე სიტყვის შემდეგ, რომელშიაც დაახასიათ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, წინადადება შეიტანა მიეციათ ყურადღება საქართველოს საკითხისათვის და მიეღოთ ლონისძიება მის განსათავისუფლებლათ. ერთა ლიგაშ მისი პროექტი რეზოლუციის გადასცა საინიციატივო კომისიას. კომისიამ საკითხი შეისწავლა და კანადის წარმომადგენელის ლიაზნის პირით წარმოუდგინა საზოგადო კრებას შემდეგი რეზოლუცია, რომელიც კრებისგან ერთხმათ იქნა მიღებული.

«ერთა ლიგის ყუილობა აღლებებულია იმ საშინელი მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება დღეს საქართველო, თავდასხმის საშავებით დაპირობილი უცხო ძალისაგან მის მცხვრებთა ნების წინააღმდეგ, — მოუწოდებს ერთა ლიგის საბჭოს ყურადღებით აღევნოს თვალწური ამ კუთხის საქმეთა მიმდინარეობას და პირველსავე შემთხვევაში, როცა ხელსაყრელი პირობები დადგება სათანადო ლონისძიება მიიღოს, რომ თანახმათ საქართვის ნორმებისა, ხელი შეუწყოს ამ ქვეყნაში ნორმალურ მდგომარეობის აღდენას.»

ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია სომხეთისთვის ლსმალეთში ეროვნული კერის მიცემის შესახებ. ერთა ლიგა წინადადებას აძლევს სახელმწიფოებს ლსმალეთ-საბერძნების საზაფო მოლაპარაკების დროს დასმულ და მოგვარებულ იქნება ეს საკითხი და ამით დაიცვას როგორც სომხეთის, ისე ლსმალეთის ხალხის ინტერესები.

მარცხნიშვილი

6 ენკენისოვებს, ვაწია ქ. შამანიში, უკრათ
გარდაიცვალა საფრანგეთის პარლამენტის წევ-
რი, გამოჩენილი სოციალისტი მარსელ ლამბა.

დიდ გლოვაშია საფრანგეთის სოციალისტუ-
რი პარტია. ორი თვე არ გასულა მის შემდეგ,
რაც მან დაკარგა თავის ლამარს სებელი მცხო-
ვანი გედი და დღეს კვლავ აცილებს სამარემ-
დის ერთ საუკეთესო ლიდერთაგანს. სამბას
ცხოვრება ეს თვით საფრანგეთის პარტიის ცხო-
ვრების ისტორია 30 წლის განმავლობაში, მის
შემდეგ რაც განსევნებული შეიქნა საფრანგეთ-
ში მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოღვაწეთ. 30
წელი ის განუწყიველოვ დეპუტატათ იყო. ის
ეკუთხნიდა პარტიის ძეველ თაობის იმ ჯგუფს,

რომელიც შეიცავდა კორესს, ქ. გელს, ვაიანს,
ბასლის, შოვიერს, ქ. იუგს (ამათშივე ივნენ
მილერანი—დღვევანდელი საფრ. პრეზიდენტი—
და ვიგიანი, რომელთაც შემდეგ მიატოვეს პარ-
ტია). მარსელ სამბა საუკეთესო პარლამენტიო-
რი და თავისებური ორატორი იყო. მთელი
პარლამენტი სმენათ იყო გადაქცეული, როცა
სამბა ტრიბუნაზე აღიოდა. მისი საოცარი ირო-
ნით სახე სიტყვები არა ერთხელ მოუსმენია
მთავრობის წევრებს და მოწინააღმდეგე პარ-
ტიათა წარმომადგენლებს. ვის არ ახსოვს მისი
გამოსვლები კლემანსოს წინააღმდეგ, როგორც
უკანასკნელათ, ისე 1906-1909 წლებში, რო-
ცა საფრანგეთის «ვეფხვი» მთავრობის თავმჯ-
დომარე იყო. სამბა ცნობილი იყო განსაკუთ-
რებით როგორც უურნალისტი, როგორც საუ-
კეთესო პოლემისტი. მისი სარკაშით შეზავე-
ბული კალამი მოწამლულ ლაპვარივით ხვდე-
ბოდა მოწინააღმდეგეთა გულს. საფრანგეთის
ერთმა მწერალმა მას «კურნალიზმის პრინციკ
უწოდა. ევროპის დიდი მისი დროს,—როცა
ვილგელმის ჯარი შემოიჭრა საფრანგეთში—
პარტიის გადაწყვეტილებით, სამბა, გედთან
ერთათ ვიგიანის სამინისტროს წევრი გახდა და
იქ მთელის ძალლონით ერის თავდაცვის პოლი-
ტიკას აწარმოებდა. თუმცა ამ დროს არც პა-
რლამენტის ფრაქციაში და არც პარტიაში თით-

ქმის არც ერთი წევრი არ გამოაუჯიშებია და
ასეთი ტაქტიკის წინააღმდეგ. დღეს, 7 წლის
შემდეგ და კიდევ იმ დროს, როცა სამბას გვა-
მი არც უიგავივებულა,—კომუნიზმის ბიჭ-ბუ-
შები, რენუები, ლაფონები და კაშუნები უსაყ-
ვედურებენ მას სამინისტროში შესვლას. თვით
მ. კაშუნი კი ომის დროს რუსეთში შოგზუ-
რობდა, რომ რუსები წაექეზებია ომის გასაგ-
რობათ და უკან დაბრუნებული მყავე პატრი-
ოტულ სიტყვებს უხვათ ხარჯავდა. მოკლე მე-
სიერების პატრიანი არიან ეს ვაჟბატონები!
მათ ვერ მოუნელებიათ, რომ ცნობილმა სამბამ
ტურის კონგრესშე—სადაც ლენინის ლოცვით
გაითხოვა სოც. პარტია—ზურგი აბრუნა მოს-
კოვის ლაქებს და სოციალისტურ-დემოკრა-
ტიულ გზას არ გადასცდა....

სამბა რამდენიმე დიდი შორმის აგტორია.
განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი უკანასკნე-
ლი წიგნი: «შექმენით მეფე, არა და დაამყარეთ
მშეიდებიანობა», რომელმაც მისი წინ დიდი
შთაბეჭიდილება მოახდინა მკითხველისაზოგა-
დოებაში.

სიცოცხლით და ენერგიით სახეს, მხნე—60
წლის მოხუცი ლიდერის მოულოდნელი დაკარ-
გვა მეხრივით დაეცა საფრანგეთის პარტიას,
რომელსაც ქვენის კოველ კუთხიდან მოსდის
უარებელი სამძიმელის და თანაგრძენობის დე-
პრეზები. პარტიის მთავარ ორგანოში («პოლუ-
ლენი») სხვათა შორის გამოქვეყნებულია 5.
ურდანას დეპეშაც საქართველოს სოც.-და-
მოკრატიული მუშათა პარტიის სახელით.

სამბას ცრედარს მოასვენებდნ 8-ს პარიზში
და აქედან მის სოფელში დასასაფლავებლათ.

მარსელ სამბას გარდაცვალებას შედეგათ მო-
ყვა დიდი ტრაგედია. მისი დაკარგვა ვერ აიტა-
ნა მისმა მეუღლემ და მეგობარმა და 12 საათი
არ იქნებოდა გასული ქმრის სიკვდილის შემ-
დეგ; რომ თავი მოიკლა რევოლვერით. სამბის
ცოლი გამოჩენილი მახატვარი და სკულპტორი
იყო. მთელი საფრანგეთი თან დასტურის მარ-
სელ სამბასთან ერთათ უდრივოთ დავრგულ
ნიჭიერ ხელოვანს. პარიზი მიმდინარეობის თან-
თოვებით და გერმანიული მემკვიდრეობის ანუანი.
არც მას სიცოცხლის მიზანი არ არის მიმდინარეობის მიზანი.



გაერთიანებული სოციალ-დემოკრატია.

24 სექტემბერს ნიურენბერგის გამართიანებელ პარტიითაგის (ყრილობის) დადგენილებით დაკანონდა გერმანიის მეუმრავლესე სოციალისტურ პარტიის და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიის სრული, ორგანიული გაერთიანება.

ნიურენბერგს წინ უძლვის მოელი 5 წლის ისტორია, აღსავს ორივე სოციალისტურ პარტიითა შორის ღრმა პრინციპიალური უთანხმოებით, უკიდურესი სიმწვავის დაცვისა და ქიშპიბით, შეურიგებელ სამოქალაქო ომით და ძმათა სისხლის ლვრით.

თუ მიუხედავათ ყოველივე ამისა გერმანიის სოციალისტურმა პარტიებმა სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში სძლიერ გუშინდელი მტრობა და ურთიერთშორისი ომი, ეს აისხება ორივე პარტიის მასიური ხასიათით. როგორც ერთს, ისე მეორე პარტიაში ნამდვილი კანონ-შდებელი, პარტიის მოქმედების ხაზის მოვარნაჟ არის არა პარტიის ლიდერები, არამედ პარტიული მასა, სოციალისტური მუშები, რომელთ წებას ვერ აუხვევს გვერდს ლიდერების ჩვეულებრივი შეურიგებლობა და სექტარური მიღრეკილება.

გერმანიის სოც.-დემოკ. პარტია, რომელიც უდიდესი სოციალისტური პარტია იყო მთელს ქვეყანაზე, გაითხოვა ომის ღრმა და ომის კითხვების გარშემო. გერმანიის სამხედრო და პარტებამ და მის მიერ გამოწვეულმა რევოლუციამ მოხსნა ის მწვავე კითხვები, რომლის გამო გათიშვა მოხდა. რევოლუციის პირველ დღეებში პოლიტიკურ მდგომარეობის ლოდიკამ აიძულა ორივე პარტია მჭიდრო თანამშრომლობა დაწყოთ. შესდგა კოალიციური სოციალისტური მთავრობა და ორივე ფრთის გაერთიანება თითქოს დღიურ წესრიგში დადგა. მაგრამ აქ თავი იჩინა იმავე განხევთქილებამ, რომელმაც რუსეთის თებერვლის რევოლუცია დამარხა: ოქტომბრის გადატრიალების მაგალითით წაქეზებულმა გერმანიის კომუნისტებმა წამოაყენეს ჩვენთვის კარგათ ცნობილი ფორმულა: «მთელი ძალა-უფლება მუშათა საბჭოებს!» და შეულენ ამ ფორმულის ცხოვრებაში გატარებას «რუსული», ე. ი. გადატრიალების

გზით. დემოკრატიული, თუ დიქტატურის გრი? ამ საბედისწერო კითხვამ კვლავ გააძლიერის სოც.-დემოკრატიის რიგები. ძველი უმრავლესობა დემოკრატიულ გზას გააძლიერა და ქვეყნის გადასარჩენათ გადასწრებიტა კონვილივე ძალობნით გაეწია წინააღმდეგობა კომუნისტურ შეთქმულობისათვის. დამოუკიდებელი პარტიის უდიდესი ნაწილი კი, რუსულ რევოლუციური ფრანგელოგიით შე'ყრობილი, კომუნისტურ ფრთას აკცენტი და ბოლშევიკურ გადატრიალების ცდას დაუჭირა მხარი. მოხდა 1919 იანვრის შეიარაღებული შეტაკება ორივე ფრთას შორის. ძმათა შორის დაღრილმა სისხლმა წინააღმდებურზე უფრო დაშორა ერთმანეთს მეუმრავლესები და დამოუკიდებლები. დადგა ეგრეთ წოდებული «ნოსკეს რეეგიმის» ხანა, როცა მეუმრავლესები აჯანცებულ დამოუკიდებლებზე გამარჯვების ლოლიკამ აიტულა მარცხნით ბრძოლა განეგრძოთ, ხოლო მარჯვნით—ბურუაზიულ პარტიებთან—კოალიციის პოლიტიკა ეწარმოებიათ. დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატიული პარტია კი გაიტაცა ერთხელ აღებულმა გენერალ და 1919 წლის შემოდგომაზე ლაპიკი გის პარტაიტაგმა ერთხმად მიიღო ახალი სამოქმედო პროგრამა, რომლის საფუძველს საბჭოთა სისტემის ცნობა, ე. ი. ძველი სოც.-დემოკრატიულ გზის უარისფა შეადგენდა. თუ ერთის წლის შემდეგ პარტაიტაგზე დამოუკიდებელ პარტიას კომუნისტური ფრთა გამოეცო, ეს პარტიის გაჯანსალებას არ მოასწავებდა: პარტიის გათიშვა მოხდა არა პრინციპიალურ ნიადაგზე, არამედ მოსკოვის მიერ წამოენებულ ცნობილ 21 პუნქტის გარშემო. კომუნისტური ფრთა მოითხოვდა მოსკოვისათვის უხმოდ დაქვემდებარებას, უმრავლესობას კი უნდოდა მესამე ინტერნაციონალში დარჩენა და ამავე ღრმას მოსკოვისაგან ერთგვარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

ყოველ შემთხვევაში პალეს პარტაიტაგიდნ იწყება ის პროცესი გერმანიის ორივე სოციალისტურ პარტიების დაახლოებებისა, რომელიც ნიურენბერგის პარტაიტაგმა დაგვირგვინა. პრაქტიკულმა ცხოვრებამ წამოაყენა მორიგ კითხვათ გერმანიაში რეაქციასთან ბრძოლა და

რესპუბლიკის დაცვა. ლეიპციგის პროგრამა, საბჭოთა პრინციპზე დამყარებული, მკვდარ ანბანათ იქცა. მეორე მხრით რუსულ ბოლშევიზმის პრაქტიკის დაახლოვებით გაცნობამ ქვეყანას ნათლად დაანახა, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა დიქტატურა. რუსეთის მაგალითის პიპროზი საგრძნობლათ შენელდა და მესამე ინტერნაციონალის პრესტიუცი ძლიერ დაცვა. ამავე დროს, მეუმრავლეს სოციალისტები პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობით იძულებული გახდენ მთავარი კურადღება მიექციათ რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის: კაპის გადატრიალების დროს, როცა რესპუბლიკის არსებობა საფრთხეში ჩავარდა, პროფესიული კავშირების ზეგავლენით, ორივე პარტიები შეთანხმებით გამოვიდენ რეაქციონურ ცდის წინააღმდეგ. ესლა მეუმრავლესებს და დამოუკიდებლებს, თუ ძველი ბრძოლის მოგონებას და პირად სიძულვილს არ მივიღებთ მხედველობაში, ჰყოფდა უმთავრესად ტაქტიკის, სახელმისამართის ბურჟუაზიულ პარტ-თან თანამშრომლობის საკითხი. მაგრამ ცხოვრების ლოდიკამ ეს უთანხმოებაც შეანელა. რეიხსტაგში პარტიათა შორის რაოდენობითი განწყობილება იმგავარია, რომ ვიზუალის დემოკრატიული მთავრობა ვერ იარსებებს, თუ მას დამოუკიდებლებმა მხარი არ დაუჭირეს. ვიზუალის მთავრობის გადაგდება კი მოასწავებს გერმანიაში მემარჯვენე მთავრობის მოვლინებას და რეაქციისთვის ხელის შეწყობას. ასეთ მდგომარეობის წინაშე დამოუკიდებელი პარტია იძულებული შეიქნა მრავალგზის დაეჭირა მხარი რეიხსტაგში ვიზუალის მთავრობისათვის რეაქციონერების და კომუნისტების შეტევის წინააღმდეგ და როცა გასულ წელს, ერცბერგერის მოკვლის შემდეგ, მეუმრავლესებმა წამოააწენს საკითხი მემარტენე კოალიციის შედეგის დამოუკიდებლების მონაწილეობით, უკანასკნელებმა გადაჭრილი უარი ვერ სთვეს მთავრობაში შესვლის შესაძლებლობაზე. ამ გვარად, პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობა თანანდათან სხინდა დღის წესრიგიდან იმ კითხვებს, რომელნიც ორ სოციალისტურ პარტიას პროგრამისა და ტაქტიკის მხრით ერთანერთს აშორებდა. უკანასკნელი წლის განმავლობაში ორ პარტიების პრაქტიკულ პოლიტიკაში დიდი განსხვავება არ ყოფილა, მაგრამ დამოუკიდებელი პარტიის ხელმძღვანელთა უმრავლესო-

ბა სიტყვით კიდევ რადიკალობდა და გადაჭრით წინააღმდეგი იყო «მოდალატე» მეუმრავლესებთან შეერთების. ამ შეურიგებლობას ხელს უწყობდა სოციალისტურ პარტიების საერთაშორისო განწყობილება. დამოუკიდებლები წელიოდებ 2^{1/2} (ვენის) ინტერნაციონალში, რომელიც სცდილობდა ერთხაირი დამოკიდებულება და დაჭირია მე-2 და მე-3 ინტერნაციონალებთან. ვენის ინტერნაციონალი უარს ამბობდა ინტერნაციონალურ გაერთიანებაზე, თუ კომუნისტური პარტიებიც არ მიემხრობოდნენ ასეთ გაერთიანებას. მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ურთიერთობა ხელს უშლიდა სოციალისტის ეროვნულად გაერთიანებას. მე-3 ინტერნაციონალის დამრღვევმა და ცბიერმა პოლიტიკამ გაადვილა ამ დაბრკოლების დარღვევაც. სამივე ინტერნაციონალების აღმასრულებელ კომიტეტების მოლაპარაკებამ ცხადჰყო, რომ კომუნისტებს აინტერესებს არა საცრავაშორისო პროლეტარიატის გაერთიანება, არამედ ევროპის მუშათა მოძრაობის რუსეთის ნაციონალისტურ საგარეო პოლიტიკისთვის გამოჯენება. რამდენიმე თვის გამოცდილებამ ტირიანა შესცალ 2^{1/2} ინტერნაციონალის ექიმისილ პარტიათა დამოკიდებულება ინტერნაციონალების გაერთიანების საკითხისადმი. კომინტერთან დაახლოვების გულწრფელი ცდა უშედეგორ დარჩა, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკის შოთხოვნილებამ აიძულა 2^{1/2} ინტერნაციონალის პარტიები პრაქტიკულად შეთანხმებოდნენ მრავალ კითხვებში მეორე ინტერნაციონალის პარტიებს. მოხდა მეორე და ვენის ინტერნაციონალების პარტიათა დაახლოვება და კომუნისტების სრული იზოლაცია საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. დამოუკიდებელ პარტიის დიდი უმრავლესობა უკვე ამ 5-6 თვის წინად განთავისუფლებული იქნა ე. წოდ. «რუსეთის რევოლუციის პიპროზისაგან». ამგარათ, როგორც საზინაო პოლიტიკის, აგრეთვე მუშათა მოძრაობის საგარეო ურთიერთობის სფეროში მომარალი ის მთავარი დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიდენ გერმანიის სოც.-დემოკრატიის ორი ფრთის გაერთიანებას. მაგრამ დარჩა კიდევ ერთი დაბრკოლება, რომელსაც გათიშვის და გაერთიანების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს: გუშინდელი ბრძოლების მოგანება, აქედან წარმომდგარი ურთიერთშორისი სიძულ-

ვილი და უნდობლობა, ფსიხოლოგიური შეურიგებლობა. მაგრამ ეს ფსიხოლოგიური თვისტები უფრო აზასიათებს ლიდერებს, ვინტემ ვასას. საკმარისი იყო პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობას შეენელებია გაერთიანების რეალური დაბრკოლებები და წამოეცნებია გაერთიანების საჭიროება, რომ მასსები განთავსულებულიცვენ ფრაქციული შეურიგებლობისაგან და მუშათ მასას სათანადო გავლენა მოქმდინართ თავიანთ ლიდერებზე. ამ მოვლენამ თავი იჩინა პირველათ უფრო მასსიური ხასიათის, შეუმრავლესეთა პარტიაში. ამ პარტიის ქვედა ლოგანიზაციები და ჰერიტერიები უკვე ერთის წლის წინათ მოითხოვდნ ხელმძღვანელორგენისაგან ენერგიულ ნაბიჯებს დამოუკიდებელ პარტიისთან უასახლოებლათ და გასაერთიანებლათ. უკანასკნელ თვეებში კი დამოუკიდებელ პარტიის მასსებშიც იჩინა თავი უმღეველმა მიდრეკილებამ სოც.-დემოკრატიის გაერთიანებისაკენ, განსაკუთრებით რატენაუს მოკვლის შემდეგ, როცა აშკარა გახდა, რომ მხრილოდ პროლეტარიატის ერთსულოვნად დარაზვას შეუძლია რესპუბლიკის გადარჩენა.

ამ საერთო ლტოლვილებას ვერავითარი ცენტრალური ორგანიზაცია, რა გინდ ავტორიტეტული ყოფილიყო ის, წინააღმდეგობას ვერ გაუშევდა და აი ჩენ ვხედავთ, რომ ის ლიდერები, რომლებიც კიდევ მაის-ივნისში გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიოდნ, ივლისში, თავიანთ პარტიის მასის კანასით, გადაჭრით იცვლიან ფრონტს და თავგამოდებით იცავენ გაერთიანებას. ესენი არიან გუშინდელი კომუნისტი პაულ ლევი, შეურიგებელი პარტურ კრისპინი, მემარცხენ «დამოუკიდებელი» დიტრიქტი და სხვები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ორივე პარტიის ცენტრებს განსაკუთრებული მოწოდება უნდა გამოეშვათ ადგილობრივ ორგანიზაციებისადმი—თავი დაეცირათ ანარქიულ გაერთიანებისაგან და მოეყადათ რამდენიმე კვირა, სანამ პარტეიტაგები შეიკრიბებოდნენ. ცენტრები შეუდგენ წინასწარ მუშაობას. რეინსტატები არივე პარტიის ფრაქციებმა შეადგინეს საერთო სამუშაო ცენტრი. ცველა დემოსტრაციებს, საპროტესტო მიტინგებს თუ საერთაშორისო ხასიათის გამოსვლებს ორივე პარტიის ორგანიზაციები ერთად ახდენენ. ცენტრალური კომიტეტები იმუშავებენ დროებითი

«სამოქმედო პროგრამას» და მომდევნობის გაერთიანების პროექტს. მოელო ეს მუშაობა საოცარი სოლიდარობით და სრულიად დაუბრკოლებრივ სწარმოებს, რადგან ზდება ის, რის ნიადაგიც დიდი ხანია ცხოვრებას მოუმზადებია. თოქმის ერთდროულად, ხელტემბრის 19-20-ს იქრიბება პარტიის ყრილობები. ჯერ ცალცალკე, აუგსბურგში და გერაში; თვითეული მათგანი გაერთიანების მიღების შემდეგ წარგზავნის თავიანთ წარმომადგენლებს ნიურენბურგის გაერთიანებულ პარტიისაგნე. არ მოვიყვან აქაუგსბურგის (მეუმრავლესების) და გერის (დამოუკიდებლების) პარტიისაგნების დადგენილებებს სხვადასხვა საგარეო და საშინაო კითხვებზე. ამ დადგენილებების რეზიუმეს მკითხველი გაეცნობა ის ასამოქმედო პროგრამაში, რომელიც ორთავე პარტიას განასაკუთრებული მიიღება და რომლის შინაარსი ქვევით მოვყავას. მკითხველი დაინახვას მ პროგრამიდან, რომ ახალი გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიას სრულიად განთავსისუდლებულია რუსეთიდან ნასესხებ რევოლუციური ფრაზეოლოგიისაგან და დაბრუნებია ცველს, ნაცად—მარქსისტულ სოციალიზმის გზას.

აუგსბურგის პარტიიტაგნე მოხსენება გაერთიანების შესახებ წაიკითხა პარტიის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ ღლო ველსმა. გერაში—დამოუკიდებლების ბელადმა კრისპინენა. საინტერესოა, რომ ორივე მოხსენებაში დასაბუთების დიდ ნაწილს შეადგენს რუსეთელ კომუნიზმის კრიტიკა. ორივე მომხსენებელი ერთნაირად ახასიათებს რუსულ ბოლშევიკებს და ერთსა და იმავე დასკვნას აკეთებს.

«რუსეთი, ამბობს ველისი, ბოლშევიზმის პოზიციებითნ კაბიბალიზმის, კაციჭამაბობის, გზით იხევს კაპიტალიზმისაკენ. არ, ამ სახარელ ბრალდებას ვუდენებთ ჩენ მას საერთაშორისო მუშათ კლასის წინაშე, და მით უდრო ცნერგიულად უნდა წამოვალენოთ იგი, რომ ჩენი თვალის წინ იგივე მთავრობა, რომელიც მოელს ქვეყანაში ღულს აგროვებს დამშეულ რუსებისათვის, მრავალ და მრავალ ასეულ მილიონებს გზავნის ეგრძოპაში თავისი საგარეო მიზნების განსახორციელებლათ სოციალისტური პარტიის დარღვევის, მუშათ სინდიკატულების დანგრევის და მუშათ პრესის მოსყიდვის საშვალე-



ბით (ტაში). მე არ გნანობ იმ დროის დაკარგვას, რომელიც მოვახმარეთ კომუნისტებთან მოლაპარაკებას... რადგან მან შესტინა ინტერნაციონალს და გერმანიის მუშათა კლასს შეენება სოციალისტურ პარტიების გაერთიანების საჭიროებისო.

«ბოლშევიკები, ამბობს თავის მზრით კრისპიერი გერაში, კაპიტალისტურ რეაქციონერებს უდღიან, რადგან ისინი ჩვენ ზურგიდან გვეხმიან თავს.»

აუგსბურგი ადგენს: «კომუნისტებთან საერთო გზა უკუგდებულ უნდა იქნას, სანამ ისინი გადაჭრით არ აღიარებენ რესპუბლიკის დაცვის საჭიროებას და სოციალისტურ პარტიების დაშლაზე ხელს. არ აიღებნ». აუგსბურგი არ აიღებნ.

გუმინდული ნაჯევრად ბოლშევიკი კრისპიერი კიდევ მეტის სიმკაცრით სჯის კომუნისტებს: «სამწუხაროდ, შეუძლებელია კომუნისტებთან გაერთიანება; სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტურ მუშებს შორის კედელი აღმართეს იმ სუბიექტებმა, რომლებიც თავის სულს რუსულ მანეთზე გიდიან (ცხანუ ტაში).» ასოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს შუასაერთო გზა არ არისო», დაასკვნის დამოუკიდებლების ბელადი.

ამგვარად, ასრულდა ის აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო გათიშული სოციალისტურ პარტიების გაერთიანება ტრავნულად. თუ ინტერნაციონალურათ: სოციალიზმის მემარცხენე ფრთის სრული განკურნება რუსულ ფრანგოლეგიისაგან და რუსეთის «კომუნიზმის» ნამდგილი სახის გამოცნობა.

ორივე მომხსენებელმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ დროს მეუმრავლესებასა და დამოუკიდებლებს პრაქტიკულ პოლიტიკაშიც არაფერი აქვთ სადაო.

«სოც.-დემ. პარტიის (მეუმრავლეს) და დამოუკიდებელ ს. პარტიის პოლიტიკა დიდი ჩანა ერთი და იგივეაო» — ამბობს კრისპინი. ჩვენ არასოდეს არ ვითვილვართ აუცილებლათ წინააღმდეგი ბურკუაზიულ პარტიებთან კოალიციის ცველა შემთხვევებისათვის და დიდი ხანია ფაქტიურად მხარს ვუჭროთ ვირტის მთავრობასო.

ორივე პარტიებისაგან თითქმის ერთნაირი ერთსულოვანობით გამოიტანა დადგენილება გაერ-

თიანების შესახებ. თუ რა ალფროდგენერალი შეუდა მას სა გაერთიანებას, ამას მოწმობს აუგსბურგში მომზღვი ინციდენტი. ველსის მოსსენების შემდეგ უნდა გახსნილი დისკუსია. სიტუაცია აიღო ერთმა დელეგატმა და დაიწყო კიდევ ლაპარაკი, რომ ვიღაცამ წამოიძახა: დისკუსია არ არის საჭირო! მოელო პარტიის ტაგი და წამოდგა და მოითხოვა დისკუსიის შეწყვეტა. არც პარტიიტაგის თავმჯდომარის სიტუამ, არც პარტიის თავმჯდომარის აზმუნებამ არ გასჭრა. პარტიიტაგმა აიძულა პრეზიდიუმი და ეროვნული რეგლამენტი, ორატორი შეეჩერებია და დისკუსიის დაწებამდე დისკუსიის მოსპობის წინააღმდებისათვის ეყარა კენჭი, რაიცა ხმის დიდი უმრავლესობით იქნა მიღებული. ამის შემდეგ პარტიიტაგმა დიდი აღფრთვანებით, წერთხმათ, მიიღო სამოქმედო პროგრამა და ორგანიზაციული გაერთიანების პროექტი.

გერის პარტიიტაგზე გაერთიანების წინააღმდეგ გაილაშქრა გადაჭრით გეორგ ლედებურმა, რომელიც იმ თავითვე ცნობილია, როგორც შეურჩიგებელი სექტანტი და გათიშვის მოტრფიალე. მას მხოლოდ თითო-ოროლა მომხრე აღმოაჩნდა პარტიიტაგზე. პარტიის ერთსულონინბა აქაც იმდენათ ძლიერი იყო, რომ როზენფელდმა (ესერების დამცველი მოსკოვში), რომელიც აქადე ლედებურს ემტრობოდა, პარტიიტაგზე განაცხადა — არ შემიღილია და გამორჩეოდა და გაერთიანებულ პარტიაში გადავალ, თუმცა არ ვარ მომხრე გაერთიანებისო. გერამ მიიღო დადგენილება გაერთიანებისათვის 192 ხმით 9-ს წინააღმდეგ. მხოლოდ გეორგ ლედებური და კიდევ ორი-სამი დამოუკიდებელი მოლვაწე რჩებიან გაერთიანებულ პარტიის გარეშე — ულაშქრო გენერლებათ.

ვნაროთ რა პირობები და დედა სადუძღვათ ორანიზაციულ გაერთიანებას. უნდა ვიცოდეთ, რომ მეუმრავლესთა პარტიას ყავდა 1.200,000-მდე წევრი, დამოუკიდებლებს — 300,000-მდე. ორგანიზაციების შეერთება უნდა დაიწყოს 1 ოქტომბრიდან. ამავე რიცვიდან ურთიანდება პარტიის კასები და რედაქციები. გაერთიანებულ პარტიის ცეკვას შეადგინე 3 თავმჯდომარე, 3 კასირი, 6 მდივანი, 10 სხვა წევრი და პარტიის ცენტრალურ ორგანოს მთავარი რეაქტორი. ამათგან დამოუკიდებელი პარტია

აყენებს ერთ თავმჯდომარეს (კრისპინი), ერთ კასირს, ერთ მდივანს და 4 სხვა წევრს. საკანტროლო კომისია შესდგება 11 კაცისაგან: 7 მეუმრავლესე, 4 დამოუკიდებელი. ადგილობრივი ორგანიზაციები შეერთდებიან მთელი თავიანთი შემადგენლობით და შემდეგ შეადგენენ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანობს. ერთდება ყველა წარმომადგენლობითი დაწესებულებების ფრაქციები, ქალთა ორგანიზაციები, ს.-დ. ახალგაზრდობა და სხვა და სხვა.

ამ დებულების მიღების შემდეგ ორივე პარტაკაგმა აირჩია წარმომადგენლები ნიურენბერგის გაერთიანებულ პარტაიტაგისათვის, თვითეულმა დაახლოვებით 150 კაცი.

ნიურენბერგის პარტაიტაგი შეიკრიბა 24 სექტემბერს და გაგრძელდა მხოლოდ 3 საათი. ეს იყო სახეიმო სხდომა. თავმჯდომარეობდენ პარტიის უზუცესი, პფანკუხი და მოხუცი ბოკი, რომელიც 1875 წელს თავმჯდომარეობდა გორუის პარტაიტაგს, საც მოხდა ეიზნახელების და ლასალიანელების გაერთიანება და გერმანიის სოც.-დემ. დარტიის დაარსება. როცა ბაკი გორუას იხსენიებს და პფანკუხს მიმართავს მოგონებებით, მრავალ დელეგატს ტირილი მოსდის. გარეშე მაცურებელს გაუჭირდებოდა გაეგო ის სულისკეთება, რომლითც ნიურენბერგის პარტაიტაგი იყო შეცყრბილი, ამბობს «ფორვერტსი». ხოლო ვისაც განუცდია წარსული წლების ძმათა შორის ბრძოლის სიმწარე, ის ადვილათ გაიგებდა ამ დღის სიხარულსა და ცრემლებსო.

პირველათ ლაპარაკობს მეუმრავლესების პარტიის თავმჯდომარე ჰერმან მიულერი გაერთიანებული პარტიის მიზნებზე და შინაგაურ პოლიტიკის საკითხებზე. შემდეგ კრისპინი ასაბუთებს ძლიერ, გაერთიანებულ მოძრაობის შექმნის საჭიროებას და მომავალში ძმური სოლიდარობის დაცისაკენ მოუწოდებს ორთავე მხარეს. ორივე ორატორს ერთნაირი ენტუზიაზმით ესალმება პარტაიტაგის ორივე ფრთა. პარტაიტაგი ისმენს კიდევ რამოდენიმე ორატორს, მათ შორის უცხოელ ამხანაგების მისალმებებს, და თავმჯდომარე ველსის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ სხდომა იხურება ყიუინით «გაუმარჯოს გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიას.

გერმანიის პარტიების გაერთიანებულ დოფლება სიხარულით და ალტაცებით შეეგება მთელი ქვეყნის სოციალისტები, გარდა მცირე რიცხოვან სექტანტებისა. ფრანგების სოციალისტების დიდი უმრავლესობა, ინგლისის მუშათა პარტია, დამოუკიდებელი მუშათა პარტია, ბელგიის და სხვა პარტარა ჯვეყნების სოციალისტები, ამსტერდამის საპროფესიო ინტერნაციონალი—ჯველანი ერთნაირი იმედით და მხურვალე მილოცვით მიმართავენ გერმანიის გაერთიანებულ პარტიას. ამ გაერთიანებაში ისინი ხედავენ წინამორბედს მთელი მსოფლიო სოციალისტების გაერთიანებისას. მართლაც, შეიქმნა ახალი, ორიგინალური მდგრადება, რომელიც დიდხანს ვერ გაგრძელდება: მეორე ინტერნაციონალს გამოეშალა ერთი მთავარ წევრთაგანი—გერმანიის მეუმრავლესები. ხოლო $2\frac{1}{2}$ ინტერნაციონალს მოაკლდა მთავარი მასიური პარტია—გერმანიის დამოუკიდებლები, ურომლისოდაც მას წინანდელი მნიშვნელობა ეკარგება.

გაერთიანებულმა პარტიამ გადასწყიტა ორივე საერთაშორისო გაერთიანებაში წარგზავნონ დროებით თავისი წარმომადგენელი. ამნაირად, გერმანიის პარტია გადაიქცა, ასე ვთქვათ, ხიდათ, რომელიც აკავშირებს მე-2 და $2\frac{1}{2}$ ინტერნაციონალებს. მოსალოდნელია, რომ ამ შემოგვმა-ზამთარში გადადგმული იქნება ნაბიჯები მე-2 და $2\frac{1}{2}$ ინტერნაციონალების გაერთიანებისათვის, რომელსაც გვერდში ამოუდგება ამსტერდამის საპროფესიო ინტერნაციონალი. ამნაირად შეიქმნება მძლავრი, გაერთიანებული საერთაშორისო პროლეტარული ორგანიზმი.

დაბაზასიათებელია, რომ გერმანიის პარტიების გაერთიანებამ ერთნაირად შეაძრწნა კაპიტალისტური და კომუნისტური პარტიები. და განა ეს გასაკეირია? თავის მომავალს ბოლ-შევიზმი ამჟარებს მსოფლიო კაპიტალისტურ რეაქციასთან შეთანხმებაზე: გაერთიანებულ სოციალისტურ ფრონტის წინააღმდეგ ხელი-ხელ ჩაიდებული დაირაზმება კაპიტალისტური რეაქცია და მისი ფაქტიური მოკავშირე რუსული კომუნიზმი».

გერმანის გაერთიანებულ ს.-დ. პარ.

დროებიდი სამოქმედო პროგრამა:

ისტორიული განვითარების მსვლელობა ამ-ტკიცებს, რომ კაპიტალიზმია ერთ შესძლო ქვეყნიერებისათვის ზავის, სამუშაოს და პურის მიცემა. უფრო და უფრო მეტის აუცილებლობით აშკარავდება, რომ კაცობრიობას მხოლოდ სოციალიზმის გზით შეუძლია თავისუფლების და კეთილდღეობის მიღწევა.

გერმანიის გაერთიანებული სოც.-დემოკრატ. პარტია ისტრავის პროლეტარიატის ჯველა ძალები ერთიანად დარაჭმოს კლასიურ ბრძოლაში პოლიტიკურ ხელისუფლების დასაცერობათ, კლასიურ ბატონობის დასაძლევათ და სოციალიზმის გასახორციელებლათ. გამოდის რა მეტინერულ სოციალიზმის პრინციპებიდან, გაერთიანებული ს.-დ. პარტია აყენებს პირველ რიგში ბრძოლის შემდეგ მიზნებს:

1) რესპუბლიკის დაცვა.

გაერთიანებულ ს.-დ. პარტიას დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩინა უფართოეს სამოქმედო ასპარეზათ, უმკვიდრეს საფუძვლათ მშრომელი ხალხის ბრძოლისათვის და სოციალიზმის განხორციელების გამოსავალ პუნქტათ; ამ შემცნების მიხედვით გერმანიის გაერთიანებული ს.-დ. პარტია მოითხოვს უსასტიკეს და დაუზოგავ ბრძოლის წარმოებას მონარქიის აღდენის ყოველივე ცდის წინააღმდეგ, რაიხსვერის (არსებულ ჯარის. მთარგმნელი) რესპუბლიკის დამცელი სანდო იარაღათ გადაქცევას, იმპერიის ერთიანობის განმტკიცებას, რესპუბლიკის ნაწილების ერთმანეთთან ორგანიულად დაკავშირებას და მოლიან სახელმწიფოს შექმნას.

ეს პოლიტიკა მოითხოვს ცალკე ქვეყნებში პოლიციის და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მონარქიის მომზრებისაგან გამოწენდას, მთელი აღმინისტრაციის ფართე დემოკრატიზაციას, ადგილობრივ თვითმართველობების და მათი კავშირების განმტკიცებას, პარტიულიარულ და რეაქციონურ მისტრაფებების დაძლევას.

2) ბრძოლა კლასიურ იუსტიციის წინააღმდეგ.

უფლების მთელი სისტემის გარდაქმნა სოციალისტურ პრინციპების მიხედვით. მსაჯულთა კოლეგიების ხალხის ყველა წრეების წარმომადგენელთაგან შედგენა. იუსტიციის

ყველა სფეროებში არჩეულ თავისუფლების პროცესიულ, მთარგმნელი.) მსაჯულების გადამწყვეტი ხასიათის თანამშრომლობა. სიკედილით დასჯეს გაუქმდა. დელაკაცის მამაკაცთან გათანასწორება როგორც საზოგადოებრივ ცხოვრების, ისე კერძო უფლებრივ უზრიერთობის სფეროში.

3. საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკა.

ფართო ძირითადი საფინანსო რეფორმა, რომელიც დამატებული უნდა იყოს შემოსავლის წყაროების დაბჯევრასა და გადასახადების სიმძიმის ეკონომიკურ შესაძლებლობის პრინციპის მიხედვით მონაწილეობაზე.

სახელმწიფოს უშუალო შონაწილება კაპიტალისტურ მეურნეობის მოსაგებში. მემკვიდრეობის უცლება სახელმწიფოსათვის შორეულ ნათესაობრივ მემკვიდრეობის შემთხვევებში. საგალდებულო წილი სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობაში; ამ წილის უკუპროპორციით ცვალებადობა მემკვიდრეთა რიცხვთან მიხედვით. დასაბეგრავ შემოსავლის დაფარვასთან და კაპიტალის უცხოებში გაქცევასთან ბრძოლა. სასტიკი დაბეგვრა სასპეკულაციო მოგების...., საექსპორტო ბაჟის გადიდება იმგვარად, რომ ვალიუტის განსვავებიდან წარმომდგარი მოგება ერთიანად სახელმწიფოს ხვდეს. უცხოვალიუტის სასტიკი დაბეგვრა საგარეო გაკრობის საფუძვლიანი კონტროლის შემწეობით.

მცხოვრებლების უზრუნველყოფა სანოვაგით, განსაკუთრებით პურით, ქართოფილით, ხორცით, რძით და შაქრით—კოოპერატივების დამარების და მათვის ხელის შეწყობის საშვალებით. ხელის შეწყობა საზოგადო სარგებლობის ამშენებლობისათვის, ბრძოლა საშინაო სპეციალისათან.

კერძო მონაბოლოიურ მეურნეობის კონტროლი. მძიმე, განსაკუთრებით სამთო ინდუსტრიის სოციალიზაცია.

4) სოციალური პოლიტიკა.

სამუშაო ძალის დაცვა სოციალური კანონმდებლობის გაფართოებით. რვა საათის სამუშაო დღეზე ყოველივე თავდასხმის უკუგდება. სამუშაო დროს შემცირება საშინარ და ჯანმრთელობისათვის მავნე სამრევეწვეველო დაწესებულებებში. ღამე მუშაობის შემოკლება მამაკაცებისათვის და აკრძალვა დედაკაცებისა და მცირეწლოვანთათვის. აკრძალვა

F 1294
19 თებერვალი
საქართველო

ყოველივე სამრეწველო შრომის სასკოლო ხნოვანობის ბავშვებისათვის კავშირების და გაფიცვის უფლების უზრუნველყოფა. მოხელეებისათვის სახელმწიფო ეტაპი და ექონომიურ უფლებების მინიჭება. ტექნიკური ჯასაჭირის დროის ორგანიზაციის *) შეცვლა ისეთი ორგანიზაციით, რომელიც უზრუნველყოფს უზმინშენებლოგანეს წარმოებებში საჭიროების დროს სახეარო და ძნელ სამუშაოს შესრულებას. მუშევის თვითდისციპლინის საშუალებით და პროფესიულ კავშირების დამაურებით. საკამარისის მზრუნველობა უსახსროებას, ინგალიდებასა და უმუშევრების შექმნა. შრომის მთლიანი კანონმდებლობის შექმნა. ფაბრიკა-ქარხანის საბჭოთა გადაქცევა მუშების, მოსამსახურების და მოსტცების სოციალურ და ეკონომიურ ინტერესების წარმომადგენლებათ.

5) სახალხო ჯანმრთელობა და სახალხო განათლება.
განსაზღვადოებრივება, ჯანმრთელობის საქმის, აღზრდის და განათლების დაწესებულებების. გერთიანებული სკოლა სამოქალაქო ჩასიათის, სარწმუნოების კერძო საქმეთ გამოცხადება. სკოლის სოციალისტურ-პედაგოგიურ პრინციპების ნიადაგზე მოწყობა. აღზრდის საქმის მატერიალურ პროდუქციასთან დაკავშირება.

6) საერთაშორისო პოლიტიკა.

კაპიტალიზმა და შეძლებულთა კლასიურმა ბატონობამ გამოიწვევს მსოფლიო ომი და მისი დამთავრების შემდეგ სრულიად უძლურნი აღმოჩენებ ნამდვილი ზავის დამარცხების საქმეში. ასეთი ზავის დამარცხება შეუძლია მთლიან საერთაშორისო პრინციპებთან შეთანხმებულ პოლიტიკას. გერმანიის გაერთიანებული სოცდემ. პარტია მოითხოვს საგარეო სფეროში შეთანხმებას და ომისაგან დაზიანებულ აღილების აღგენის პოლიტიკის განგრძობას ასრულების შესაძლებლობის ფარგლებში. ჩრდილო საფრანგეთის და ბელგიის განადგურებულ

*) თრგანიზაციის, რომელიც შექმნა სახელმწიფო მომახდენის უკინის-გერმანების და ბერლინის ქადაგის მუშამდისხურების გაფიცვის დროს, გაფიცვულების დაგოლების დასკავებლათ და გაფიცვის სიმბიოს შესასტურებლათ.

პროვინციების აღდგენა პარტიის მიაჩნია გერმანიისათვის წნეობრივ მოვალეობათ და ამასთანავე აუცილებელ საშუალებათ ხალხთა შორის ურთიერთობის გასამჯობესებლათ. მაგრამ ამასთანავე ის გამოსამჯებარის რწმენას, რომ სახელმწიფო და სახალხო მეურნეობის არევა დარევა, როგორც გალიუტის საშინელი დაცემა გარდავულ ეკონომიურ მოთხოვნილებათ ცდიან სარგებრაციო გადასხადების საგრძნობლათ შემცირებას.

იმპერიალისტური მომიდა მისი გაგრძელება საზავო ხელშეკრულებათა სახით იწევეს მძიმე მსოფლიო კრიზისს: გამარჯვებულ ქვეყნებში უმუშევრობა, წარმოების შეფერხება, ნედლი მასალის და ფაბრიკატების გაუძიდველათ დარჩენა დამარცხებულ ქვეყნებში—ხელფასის მყიდველობითი ძალის დაცემა, მშრომელი კლასების მდგომარეობის გაუზრესება, საშუალო კლასების ექსპროპრიაცია...

ომმა, წარმოების კრიზისმა და საზავო ხელშეკრულებების დაცველა ქვეყნების მშრომელი კლასები იმპერიალიზმის მშენებელად გახდეს, ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა საზავო ხელშეკრულებების შეცვლის სასაჩვენებლოთ და დამარცხების პოლიტიკის ადგილს საერთაშორისო მართლმშევრულების დაწესებულებათათვეს მოითხოვს მშოფლიო. პროლეტარიატის დარაზებას მთლიან და მტკიცე მებრძოლ ერთეულად.

დასასრულ პროგრამა მოუწოდებს გაერთიანების პარტიის წევრებს: ასევენი პროგრამის მოთხოვნილებები საფუძვლათ უნდა დაედონ გველა სოციალისტურ სულიობების გამსჭვალულ ირგანიზაციების საერთო ბრძოლას. გამარჯვების გაორკეცებულის იმედით, გასალკდევებული ენერგიით ასრულდება მაშინ მუშათა კლასის მოწოდება: სოციალისტური საზოგადოება განხორციელდება.

შემდეგი პარტაიტაგისთვის მუდმივი პროგრამის პროექტის შესამუშავებლად პარტეზოგანიზაციის ფრთის წარმომადგენელთაგან საპროგრამო კომისია, რომლის თავმჯდომარეობა მიენდო ერთურტის პროგრამის ავტორს, კარლ კაციკის.